ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4169732

ნომერი: AR1630085

თარიღი : 12.09.2018

გაცემის თარიღი : 14.09.2018

გაცნობის თარიღი : 18.09.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დალი გომარელი პ/ნ 01011004610
- რუსთაველის N10

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N14-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების (კარ-ფანჯრის გამოცვლა, სარეკლამო აბრის და დეკორაციების მოწყობა) ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N37, 13.09.2018 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი; რეკომენდაცია: „სარეკლამო აბრა მოეწყოს კედელზე მოცულობითი ასოებით. სასურველია კარი იყოს მინის, წარწერები განთავსდეს მინაზე“.

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. დ. გომარელს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. დ. გომარელს, ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N14-ში (ძეგლი) არსებულ შენობაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების (კარ-ფანჯრის გამოცვლა, სარეკლამო აბრის და დეკორაციების მოწყობა) წარმოდგენილი ესკიზის წინასწარ შეთანხმებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.